

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი

წესდება

თბილისი  
2016

(განახლება 05.04.2018)

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

## დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი

წესდება

### 1. ზოგადი დებულებანი

1.1. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი (შემდგომში - “ქსელი” ან “ორგანიზაცია”) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და მოცემული წესდების შესაბამისად.

1.2. ორგანიზაციის სრული დასახელება ქართულად: “**დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი**”, შემოკლებით – “**დჩეკ**”. ორგანიზაციის სრული დასახელება ინგლისურად: **Network of Centers for Civic Engagement**, შემოკლებით – **NCCE**. ორგანიზაციას მესამე მხარეებთან ურთიერთობაში შეუძლია გამოიყენოს სახელწოდება ინგლისურად ან მისი შემოკლებული ფორმები.

1.3. ორგანიზაცია წარმოადგენს წევრობაზე დამყარებულ გაერთიანებას, რომელიც მოქმედებს თვითმმართველობის პრინციპით.

1.4. ორგანიზაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, იქმნება განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1.5. ორგანიზაცია იურიდიული პირის უფლებებს იძენს კანონით დადგენილი წესით, მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

1.6. ორგანიზაციას გააჩნია საანგარიშსწორებო და სხვა სახის (მათ შორის, სავალუტო) ანგარიშები. მას ასევე გააჩნია იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. მესამე მხარეებთან ურთიერთობაში ორგანიზაციას შეუძლია, მაგრამ არ არის ვალდებული, გამოიყენოს ბეჭედი.

1.7. ორგანიზაცია ფლობს განკერძოებულ ქონებას და უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები და გამოვიდეს მხარედ სასამართლოში.

1.8. ორგანიზაცია უფლებამოსილია დააფუძნოს ფილიალები, განყოფილებები ან წარმომადგენლობები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. ასევე, ორგანიზაციას შეუძლია დააფუძნოს სხვა იურიდიული პირები კანონით დადგენილი წესების დაცვით.

1.9. ორგანიზაცია უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას საკუთარი წევრების კანონიერი და ორგანიზაციასთან დაკავშირებული ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

1.10. ორგანიზაცია არ აგებს პასუხს მისი წევრების ვალდებულებებზე. წევრები არ აგებენ პასუხს ორგანიზაციის ვალდებულებებზე.

1.11. ორგანიზაციას შეუძლია (უფლება აქვს) გაწევრიანდეს ნებისმიერი სახის არასამეწარმეო ადგილობრივ ან საერთაშორისო ორგანიზაციაში.

1.12. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0102, თბილისი, კოტე მარჯანიშვილის ქ. №5/დიმიტრი უზნაძის ქ. №16-18, შენობა-ნაგებობა 7, მე-3 სართული, ოთახი 313.

1.13. ორგანიზაციის ფაქტობრივი ადგილსამყოფელია: საქართველო, ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #5, მე-3 სართული.

1.14. ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართია: [info@ncce.ge](mailto:info@ncce.ge)

## **2. ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები**

2.1. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების დემოკრატიულ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში მოქალაქეებს და მოქალაქეებს, საჯარო, კერძო და არასამეწარმეო ინსტიტუტებს შორის დიალოგის ხელშეწყობის გზით, ასევე, ინფორმაციაზე და შესაძლებლობების განვითარებაზე წვდომის უზრუნველყოფის, ადვოკატირებისა და ქსელური კონტაქტების განვითარების გზით.

2.2. ორგანიზაციის ამოცანებია:

2.2.1. ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას ღია დიალოგში;

2.2.2. ხელი შეუწყოს მოქალაქეების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე;

2.2.3. ხელი შეუწყოს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას;

2.2.4. ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას;

2.2.5. განავითაროს და ხელი შეუწყოს სამოქალაქო ინიციატივებს;

2.2.6. გაზარდოს ქალთა, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და უმცირესობათა ჩართულობა დემოკრატიულ პროცესებში;

2.2.7. უზრუნველყოს სივრცე სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობებთან დაკავშირებული განხილვებისთვის;

2.2.8. გახადოს ხელმისაწვდომი თანამედროვე ტექნოლოგიები და საინფორმაციო რესურსები.

2.3. საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში ორგანიზაცია იცავს შემდეგ პრინციპებს:

2.3.1. ნეიტრალურობა პოლიტიკურ პარტიებთან და ბიზნეს ინტერესებთან მიმართებით;

2.3.2. თანასწორობა, დივერსიფიცირება და თანაბარი შესაძლებლობები სოციალურად გარიყული ყველა ჯგუფისთვის;

2.3.3. გამჭვირვალობა და ღიაობა;

2.3.4. პარტნიორობა, კომუნიკაცია და კოლეგიალობა;

2.3.5. კეთილსინდისიერება, პატივისცემა და სამართლიანობა;

2.3.6. მაღალი ხარისხის სტანდარტი;

2.3.7. ორგანიზაციის მისიისა და პრინციპების დაცვა.

### **3. ორგანიზაციის საქმიანობის ფორმები**

3.1. საკუთარი საწესდებო მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგი სახის საქმიანობებს: თემატური დისკუსიების ორგანიზება, კვლევა, ინფორმაციის გაზიარება, უფლებათა დაცვა, კონტაქტების დამყარება, შესაძლებლობების გაზრდა, ასევე, სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით და ხელს უწყობს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

3.2. ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს.

3.3. ორგანიზაციას შეუძლია მოიზიდოს და გასცეს გრანტები.

### **4. ორგანიზაციის წევრობა და წევრად მიღება**

4.1. ორგანიზაციას ჰყავს წევრები. ორგანიზაციის დამფუძნებლები ამავე დროს არიან ორგანიზაციის წევრები, თუ წინამდებარე წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ორგანიზაციის წევრები და დამფუძნებლები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

4.2. გარდა დამფუძნებლებისა ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ორგანიზაციის თანამშრომელი ან ორგანიზაციის წევრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თანამშრომელი, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან სხვა ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის მიზნებს. ორგანიზაციის წევრი არ შეიძლება გახდეს იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას, აფილირებულია მასთან ან არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, სასულიერო პირი ან ორგანიზაციის თანამშრომლის ოჯახის წევრი.

4.3. ორგანიზაციის იურიდიული პირი წევრი წარმოდგენილია წევრთა საერთო კრებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის (დირექტორის) ან დირექტორის მიერ სათანადოდ მინდობილი პირის სახით.

4.4. ორგანიზაციაში წევრად მიღების პროცედურას ადგენს გამგეობა, ხოლო წევრად მიღების საკითხს წყვეტს წევრთა საერთო კრება უახლოეს სხდომაზე.

4.5. ორგანიზაციის წევრთა რეესტრს აწარმოებს აღმასრულებელი დირექტორი.

## **5. ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტა**

5.1. ორგანიზაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების დადგომისთანავე:

5.1.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

5.1.2. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობის ან წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის დანიშვნისას;

5.1.3. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას;

5.1.4. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად გამოცხადებისას;

5.1.5. წინამდებარე წესდების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას;

5.1.6. გარდაცვალებისას.

5.2. ის ფიზიკური პირი, რომელიც გახდა ორგანიზაციის წევრი, როგორც ორგანიზაციის წევრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თანამშრომელი, წყვეტს წევრობას იმ მომენტიდან, როდესაც ის აღარ არის დაქირავებული ასეთი იურიდიული პირის მიერ.

5.3. პირის ორგანიზაციის წევრობიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს წევრთა საერთო კრება.

## **6. ორგანიზაციის წევრთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. ორგანიზაციის წევრს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს:

6.1.1. მონაწილეობდეს ორგანიზაციის საერთო კრების მუშაობაში და ისარგებლოს ერთი ხმის უფლებით;

6.1.2. აირჩიოს და არჩეულ იქნეს ორგანიზაციის მმართველობით ორგანოებში;

6.1.3. კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ორგანიზაციის პროგრამულ საქმიანობაში;

6.1.4. სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;

6.1.5. მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ;

6.1.6. ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

6.2. ორგანიზაციის წევრი მოვალეა:

6.2.1. დაიცვას ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

6.2.2. გაუფრთხილდეს ორგანიზაციის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

6.2.3. შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ორგანიზაციის საქმიანობაში;

6.2.4. პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ორგანიზაციის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

## **7. ორგანიზაციის სტრუქტურა და მმართველობითი ორგანოები**

7.1. ორგანიზაციის მართვისა და კონტროლის ორგანოებს წარმოადგენს:

7.1.1. ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება;

7.1.2. გამგეობა და მისი თავმჯდომარე;

7.1.3. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი.

7.2. ორგანიზაციის ფარგლებში შეიძლება განსაზღვრული დროებითი თუ მუდმივი ფუნქციების განსახორციელებლად ჩამოყალიბდეს კომიტეტი.

## **8. წევრთა საერთო კრება**

8.1. ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ წელიწადში ერთხელ მაინც და ტარდება ყოველი წლის ნოემბრის პირველ კვირაში.

8.2. წევრთა საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა ორგანიზაციის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

8.3. წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3.

8.4. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.

8.5. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

8.6. საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება დასაშვებია ტელეკომუნიკაციების საშუალებით.

8.7. საერთო კრებაზე წევრთა დასწრების აღრიცხვას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი.

## **9. წევრთა საერთო კრების უფლებამოსილებები**

9.1. წევრთა საერთო კრება:

9.1.1. დამსწრე წევრთა 2/3-ით იღებს ორგანიზაციის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

9.1.2. ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება დამატებითი კენჭისყრა თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის;

9.1.3. განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშებს;

9.1.4. დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

9.1.5. დამსწრე წევრთა 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის რეორგანიზაციის შესახებ;

9.1.6. დამსწრე წევრთა 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ;

9.1.7. უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას პირის ორგანიზაციის წევრად მიღების და წევრობიდან გარიცხვის შესახებ.

9.2. რიგგარეშე წევრთა საერთო კრება მოიწვევა ორგანიზაციის გამგეობის მიერ:

9.2.1. საკუთარი ინიციატივით;

9.2.2. აღმასრულებელი დირექტორის ან ორგანიზაციის წევრთა 1/4-ის მოთხოვნით ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

## 10. გამგეობა

10.1. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა სულ მცირე სამი (3) და არა უმეტეს ხუთი (5) წევრისაგან შემდგარი გამგეობა.

10.2. გამგეობის წევრად შეიძლება ნომინირებულ იქნეს ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელიც არ წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას, არ არის აფილირებული მასთან და არ არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, სასულიერო პირი, ან ორგანიზაციის თანამშრომელი ან ორგანიზაციის თანამშრომლის ოჯახის წევრი. გამგეობის წევრობაზე სხვა ფიზიკური პირის (მათ შორის, დამოუკიდებელი კანდიდატის) ნომინირება შეიძლება განახორციელოს ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, გამგეობამ, ან წევრთა 1/5-მა. თვით-ნომინირება შეუძლია გამგეობის წევრობის მსურველ ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს. აღმასრულებელი დირექტორი არ შეიძლება ამავე დროს იყოს გამგეობის წევრი.

10.3. გამგეობის წევრებს ორგანიზაციის წევრთაგან ან წესდებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ორგანიზაციის არაწევრი ფიზიკური პირებისგან ორი (2) წლის ვადით ირჩევს წევრთა საერთო კრება. გამგეობის თავდაპირველი შემადგენლობიდან ორი წევრი გადაირჩევა ორ (2) წელიწადში, ერთი წევრი - სამ (3) წელიწადში, ერთი წევრი - ოთხ (4) წელიწადში და ერთი წევრი - ხუთ (5) წელიწადში. გამგეობის თავდაპირველი შემადგენლობიდან წევრთა გადარჩევის რიგითობა განისაზღვრება გამგეობის პირველ სხდომაზე ჩატარებული წილისყრით.

10.4. მუხლი ამოღებულ იქნეს.

10.5. პირი გამგეობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორი ვადით.



10.6. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება წევრთა საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

10.7. გამგეობის სხდომები იმართება სამ (3) თვეში ერთხელ მაინც. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის ან ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივით, ან გამგეობის სამი (3) წევრის მოთხოვნით.

10.8. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგეობის წევრებს და ორგანიზაციის ტერიტორიული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე ორი (2) კვირით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - მოწვევისთანავე.

10.9. გამგეობის საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის გამგეობის წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება. შესაძლებელია მათი ისეთი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია გამგეობის სხდომებში მონაწილეობასთან და ორგანიზაციის საქმიანობასთან.

10.10. გამგეობის სხდომაში მონაწილეობის მიღება დასაშვებია ტელეკომუნიკაციების საშუალებით.

10.11. აღმასრულებელი დირექტორი გამგეობის სხდომებში მონაწილეობს ხმის უფლების გარეშე.

10.12. გამგეობა:

10.12.1. გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს ორი (2) წლის ვადით, მისი დამატებითი ორი (2) წლის ვადით ხელახლა არჩევის უფლებით;

10.12.2. იწვევს და ატარებს წევრთა საერთო კრებას. კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ 1 თვით ადრე მაინც აცნობებს ორგანიზაციის წევრებს, ხოლო, რიგგარეშე სხდომის შემთხვევაში, სხდომის მოწვევისთანავე.

10.12.3. ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს წევრთა საერთო კრებისთვის წარადგენს კრებამდე ერთი (1) თვით ადრე, გარდა 8.2. და 9.2. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.12.4. კონკურსის წესით ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს;

10.12.5. ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;

10.12.6. შეიმუშავებს და დასამტკიცებლად საერთო კრებას წარუდგენს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

10.12.7. ამტკიცებს ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშს წევრთა საერთო კრებისთვის წარსადგენად;

10.12.8. ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;

10.12.9. ამტკიცებს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;

10.12.10. წყვეტს ორგანიზაციის კოალიციებში, რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;

10.12.11. საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის სხდომებზე იწვევს და ისმენს ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომლის, პროგრამების/პროექტების ხელმძღვანელების, ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, ორგანიზაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ანგარიშებს;

10.12.12. 10.12.12. მუხლი ამოღებულ იქნეს.

10.12.13. 10.12.13. მუხლი ამოღებულ იქნეს.

10.12.14. აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;

10.12.15. ფარული კენჭისყრით, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს წინამდებარე წესდების 11.3 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე პირობის დადგომის შემთხვევაში; ასევე, განიხილავს აღმასრულებელი დირექტორის პირად განცხადებას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ, შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვადების შესაბამისად.

10.12.16. წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება წევრთა საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

10.13. გამგეობის წევრის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდება ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების დადგომისთანავე;

10.13.1. ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტისას;

10.13.2 10.13.2. მუხლი ამოღებულ იქნეს.

10.13.3. პირადი განცხადების საფუძველზე;

10.13.4 10.13.4. მუხლი ამოღებულ იქნეს.

10.13.5. გამგეობის წევრობისთვის დადგენილი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში;

10.13.6. გარდაცვალებისას.

10.14. გამგეობის გამოკლებული წევრის ნაცვლად უახლოეს საერთო კრებაზე აირჩევა გამგეობის ახალი წევრი გამოკლებული წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით;

10.15. გამგეობის თავმჯდომარე:

10.15.1. ხელმძღვანელობს საერთო კრებას; თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, კრების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას წერილობით გადასცემს გამგეობის სხვა წევრს;

10.15.2. ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას, ადგენს გამგეობის სხდომების დღის წესრიგს და უძღვება გამგეობის სხდომებს;

10.15.3. აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამდე ასრულებს მის ფუნქციებს;

10.15.4. ასრულებს წინამდებარე წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

## **11. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა**

11.1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი.

11.2. ორგანიზაციის დაფუძნებისას აღმასრულებელ დირექტორს ოთხი (4) წლის ვადით ნიშნავს დამფუძნებელთა კრება. ყოველ შემდგომ აღმასრულებელ დირექტორს ოთხი (4) წლის ვადით ნიშნავს გამგეობა ღია კონკურსის შედეგად. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება იწყება მისი დანიშვნის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისი წესით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე. მესამე მხარეებთან ურთიერთობაში აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება ძალაში შედის საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შესაბამისი სარეგისტრაციო ჩანაწერის განხორციელების თარიღზე.

11.3. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით ან/და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების, უფლებამოსილების გადამეტების, ან ორგანიზაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო ქცევისას შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში, გამგეობა ასეთი ქმედების დადგომიდან ან/და ასეთი ქმედების შესახებ

ინფორმაციის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განიხილავს აღმასრულებელი დირექტორის გათავისუფლების და ახალი აღმასრულებელი დირექტორის ახალი ვადით დანიშვნის საკითხს.

11.4. აღმასრულებელი დირექტორი:

11.4.1. მოქმედებს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

11.4.2. ახორციელებს ორგანიზაციის პოლიტიკას;

11.4.3. გაწეული საქმიანობის შესახებ 3 თვეში ერთხელ ახარებს გამგეობას ფინანსურ და სხვა ანგარიშებს;

11.4.4. გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს ორგანიზაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;

11.4.5. ახორციელებს სახსრების მოზიდვისკენ მიმართულ საქმიანობას და წარმართავს ურთიერთობებს დონორ ორგანიზაციებთან;

11.4.6. ორგანიზაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს პროექტთან/პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

11.4.7. წარმოადგენს თანამშრომელთა ინტერესებს გამგეობის და წევრთა საერთო კრების წინაშე;

11.4.8. უძღვება ორგანიზაციის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

11.4.9. ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს და არ განეკუთვნება საერთო კრების ან/და გამგეობის კომპეტენციას.

11.5. აღმასრულებელ დირექტორთან იდება შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე.

11.6. განსაზღვრავს და ამტკიცებს ორგანიზაციის სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის სახელფასო განაკვეთებს, ასევე, არასრულ შტატზე მომუშავე პერსონალის, კონსულტანტების და კონტრაქტორების ანაზღაურებასთან დაკავშირებულ წესებს;

11.7 გარდა 11.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებისა, აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

11.7.1. პირადი განცხადება;

11.7.2. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობა;

11.7.3. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

11.7.4. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად გამოცხადება;

11.7.5. გარდაცვალება.

## **12. ინტერესთა კონფლიქტი**

12.1. ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს უფლება არ აქვს იმავდროულად იყოს საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა აკადემიურისა ან/და ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელებას, მათ შორის, ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.

12.2. ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს ორგანიზაციის გამგეობის ან სხვა ისეთი ორგანოს წევრი, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.

## **13. ორგანიზაციის კომიტეტი და კომიტეტის ხელმძღვანელი**

13.1. ორგანიზაციის ფარგლებში შეიძლება დროებითი თუ მუდმივი ფუნქციების განსახორციელებლად ჩამოყალიბდეს კომიტეტი.

13.2. კომიტეტი შეიძლება ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფის, სათათბირო ორგანოს, ან საბჭოს სახით.

13.3. ორგანიზაციის კომიტეტს ქმნის და მის მიზნებსა და ფუნქციებს ადგენს გამგეობა საკუთარი შეხედულებისამებრ.

13.4. კომიტეტს მეთაურობს კომიტეტის ხელმძღვანელი, რომელსაც კომიტეტის წევრებისგან ირჩევს კომიტეტის შემადგენლობა.

13.5. კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს კომიტეტის საქმიანობას, წარმოადგენს მას წევრთა საერთო და გამგეობის კრებებზე.

## **14. ორგანიზაციის ქონება და დაფინანსების წყაროები**

14.1. ორგანიზაციის ქონებას შეადგენს მისი ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, სხვა სახის ფასეულობები, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.

14.2. ორგანიზაციის ქონება იქმნება წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

14.3. ორგანიზაცია უფლებამოსილია საკუთრებაში იქონიოს უძრავი (შენობა-ნაგებობები)

და მოძრავი ქონება.

14.4. ორგანიზაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

#### **15. რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია**

15.1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია ან გარდაქმნა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.2. ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

15.2.1. ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით;

15.2.2. ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით;

15.2.3. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.3. ორგანიზაციის ლიკვიდაციას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი, თუ კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი/გადაწყვეტილი.

15.4. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს და ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

#### **16. წესდების ძალაში შესვლა**

16.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ორგანიზაციის საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის თარიღზე.

16.2. თუ მოცემული წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

16.3. წესდების ცვლილება ან მისი შემდგომი რედაქცია ძალაში შედის წევრთა კრების მიერ შესაბამისი ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების (ხელმოწერის) თარიღზე და არ საჭიროებს სავალდებულო რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.